მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 01.10.14.015.038.01.503

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია	მომზადების თარიღი
N 882014045672 - 30/01/2014 10:49:01	05/02/2014 14:59:06

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი	კოდი
თბილისი	საბურთალო			
01	10	14	015/038	01/503

მისამართი: ქალაქი თბილისი , გამზირი ალ. ყაზბეგი , N 14ბ

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი:1821.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი: 5/6;01.10.14.015.006;
შენობა-ნაგებობები: N1 საერთო ფართით 2898 კვ.მ. და N2

მესაკუთრეები

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882010785307 , თარიღი 13/09/2010 15:52:33
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 14/09/2010

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ბრძანება Nლეგ-3227 , დამოწმების თარიღი:19/09/2008 , ქ.თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური
- დაღგენილება N18.2.336 , დამოწმების თარიღი:10/08/2010 , ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობა
- უძრავი ქონების გაყოფის ხელშეკრულება , N1-12880 , გაფორმების თარიღი:13/08/2007 ,ნოტარიუსი ნ. გინტური

მესაკუთრეები:
შპს "ჯანმრთელობის ცენტრი" , ID ნომერი:211381994

მესაკუთრე:	საკუთრების ტიპი:	საკუთრება:	ფართი:	წილი:
შპს "ჯანმრთელობის ცენტრი"	საკუთრება	მანსარდა	282.00 კვ.მ.	
	საკუთრება	არასაცხოვრებელი ფართი	2052.00 კვ.მ.	
	საკუთრება	სარდაფი	564.00 კვ.მ.	

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

სარგებლობა

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882011035905 თარიღი 31/01/2011 16:09:44	მოიჯარე: შპს "ევროდენტი" 211322273; მესაკუთრე: შპს "ჯანმრთელობის ცენტრი" 211381994; საგანი: არასაცხოვრებელი ფართი 2052.00 კვ.მ. -დან პირველ სართულზე 80კვ.მ.; ვადა: 2 წელი და 6 თვე;
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 04/02/2011	იჯარის ხელშეკრულება, რეესტრის ნომერი N110082480, დამოწმების თარიღი31/01/2011, ნოტარიუსი ლ.გოგია
განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882011035952 თარიღი 31/01/2011 16:19:03	მოიჯარე: შპს "დნმ-დიაგნოსტიკა"204952667; მესაკუთრე: შპს "ჯანმრთელობის ცენტრი" 211381994; საგანი:არასაცხოვრებელი ფართი 2052.00 კვ.მ. -დან ფართი 20 კვ.მ; ვადა:5 წელი;
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 04/02/2011	იჯარის ხელშეკრულება, რეესტრის ნომერი N110036876, დამოწმების თარიღი 17/01/2011, ნოტარიუსი ლ.გოგია,
განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882011035993 თარიღი 31/01/2011 16:26:50	მოიჯარე: შპს "კერა თრეველი" 205264774; მესაკუთრე: შპს "ჯანმრთელობის ცენტრი" 211381994; საგანი:არასაცხოვრებელი ფართი 2052.00 კვ.მ. -დან ფართი 80 კვ.მ; საბოლოო თარიღი:31/12/2012;
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 04/02/2011	იჯარის ხელშეკრულება, რეესტრის ნომერი N110050249, დამოწმების თარიღი 21/01/2011, ნოტარიუსი ლ.გოგია ,
განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882011036020 თარიღი 31/01/2011 16:33:36	მოიჯარე: ქეთევან ყარალაშვილი P/N: 01001074845; მესაკუთრე: შპს "ჯანმრთელობის ცენტრი" 211381994; საგანი:არასაცხოვრებელი ფართი 2052.00 კვ.მ. -დან პირველ სართულზე აფთიაქის ოთახი 5კვ.მ; ვადა:1 წელი;
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 04/02/2011	იჯარის ხელშეკრულება, რეესტრის ნომერი N110036519, დამოწმების თარიღი 17/01/2011, ნოტარიუსი ლ.გოგია ,
განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882011036042 თარიღი 31/01/2011 16:41:31	მოიჯარე: შპს "სპორტული მედიცინის ცენტრი" 205260037; მესაკუთრე: შპს "ჯანმრთელობის ცენტრი" 211381994; საგანი:არასაცხოვრებელი ფართი 2052.00 კვ.მ. -დან მეხუთე სართულზე 12 კვ.მ; ვადა:5 წელი;
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 04/02/2011	იჯარის ხელშეკრულება, რეესტრის ნომერი N110036498, დამოწმების თარიღი 17/01/2011, ნოტარიუსი ლ.გოგია,
განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882011065035 თარიღი 17/02/2011 15:43:26	მოიჯარე: ი/მ ირაკლი ხუნდაძე 01021006355; მესაკუთრე: შპს "დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის ცენტრი"211381994; საგანი:არასაცხოვრებელი ფართი 2052.00 კვ.მ. -დან 10 კვ.მ.; ვადა:1 წელი;
უფლების	არასაცხოვრებელი ფართის იჯარის ხელშეკრულება. თარიღი 25/03/2010 წელს, 2010 წლის 25 მარტის იჯარის ხელშეკრულების დამატება N1,

რეგისტრაცია: თარიღი 23/02/2011	**2010 წლის 25 მარტის ივჯარის ხელშეკრულების დამატება N2,**
განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882012101424 თარიღი 12/03/2012 14:32:25	მოიჯარე: შპს "თეომელი" 204950605; მესაკუთრე: შპს "ჯანმრთელობის ცენტრი" 211381994; საგანი:არასაცხოვრებელი 120კვ.მ.შენობის 0 /სარდაფი/სართულზე; ვადა:2 წელი;
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 16/03/2012	ივჯარის ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი12/03/2012, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882013531187 თარიღი 31/10/2013 14:25:13	მოიჯარე: შპს "პროფ. ივანე მგალობლიშვილის ფერტილობის ცენტრი დომინანტი" 401988756; მესაკუთრე: შპს "ჯანმრთელობის ცენტრი" 211381994; საგანი:არასაცხოვრებელი ფართი 400კვ.მ.; ვადა:3 წელი;
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 06/11/2013	ივჯარის ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი31/10/2013, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882013641115 თარიღი 26/12/2013 16:26:52	იპოთეკარი: ი/მ "ქეთევან ხუციშვილი" 11001017610; მესაკუთრე: შპს "ჯანმრთელობის ცენტრი" 211381994; საგანი:არასაცხოვრებელი ფართი 160 კვ.მ.; ვადა:5 წელი;
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 03/01/2014	ივჯარის ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი26/12/2013, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882013641166 თარიღი 26/12/2013 16:34:03	მეიჯარე: შპს "ჯანმრთელობის ცენტრი" 211381994; მოიჯარე: შპს "დნმ-დიაგნოსტიკა"204952667; საგანი:არასაცხოვრებელი ფართი 20კვ.მ.; ვადა:5 წელი;
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 03/01/2014	ივჯარის ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი26/12/2013, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882014017073 თარიღი 15/01/2014 16:14:50	მოიჯარე: შპს "ევროლენტი" 211322273; მესაკუთრე: შპს "ჯანმრთელობის ცენტრი" 211381994; საგანი:არასაცხოვრებელი ფართი 2052.00 კვ.მ. -დან პირველ სართულზე 120 კვ.მ; ვადა 3 წელი;
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 20/01/2014	ივჯარის ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი15/01/2014, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882014019943 თარიღი 17/01/2014 09:34:27	მეიჯარე: შპს "ჯანმრთელობის ცენტრი" 211381994; მოიჯარე: შპს "კერა თრეველი" 205264774; საგანი:არასაცხოვრებელი ფართი 2052.00 კვ.მ. -დან პირველ სართულზე 80კვ.მ ; ვადა:3 წელი;

უფლების რეგისტრაცია: თარიღი 23/01/2014

იჯარის ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი17/01/2014, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას სამემკვიდრეო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, შესაძლებელია სარეგისტრაციო სამსახურში მოსვლის გარეშე, ელექტრონულად წარმოადგინოთ განცხადება: http://public.reestri.gov.ge ან დაგვიკავშირდეთ: 2 405 405; 595 33 71 81; შესწორებული ამონაწერის მიღება შეგიძლიათ ვებ გვერდზე, ელექტრონულად, ასევე სარეგისტრაციო სამსახურში ,"ლიბერთი ბანკის" ნებისმიერ ფილიალში ან "პრივატბანკის" სწრაფი გაღახლის აპარატიდან.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საჯარო რეესტრის
ეროვნული სააგენტო

საკადასტრო გეგმა

მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: *01.10.14.015.038*
განცხადების რეგისტრაციის ნომერი*882008324272*
მიწის ნაკვეთის ფართობი: *1821* კვ.მ.
დანიშნულება: *არასასოფლო-სამეურნეო*
მომზადების თარიღი 26.11.08



01/2 შენობა-ნაგებობა, პირობითი ნომერი/სართულიანობა
ვალდებულება
ხაზობრივი ნაგებობა
მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი
მშენებარე ნაგებობა
UTM (საერთაშორისო) სისტემის კოორდ.

ხელშეკრულება
არასაცხოვრებელი ფართის იჯარის შესახებ

ქ.თბილისი "5" მარტი 2015წ.

შპს „კერა თრეველის", დირექტორის დავით ქუთათელაძის სახით, შემდგომში „მეიჯარე", ერთის მხრივ და შპს "ვეძა", დირექტორის იროდიონ გუჯაბიძე სახით, შემდგომში „მოიჯარე", მეორეს მხრივ, შეთანხმდნენ შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

მეიჯარე გადასცემს, ხოლო მოიჯარე იღებს კომერციულ ფართს დროებით სარგებლობაში. ფართი განთავსებულია მისამართზე – ქ.თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზ. 14 ბ. პირველი სართული.

2. იჯარის მიზანი

საიჯარო ფართი მოიჯარეს გადაეხემა საქმიანობის განხორციელების მიზნით.

3. საიჯარო ფართის გადაცემის წესი

3.1. ხელშეკრულებაში გათვალისწინებული ფართი მოიჯარეს გადაეცემა 2015 წლის 5 მარტიდან.
3.2. საიჯარო ფართის გადაცემა ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტით.
3.3. ქონება, რომელიც შემოწანილი იქნება მოიჯარის მიერ, უბრუნდება მას.

4. იჯარის ვადა

4.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2015 წლის 31 დეკემბერი.
4.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა შეიძლება შეიცვალოს მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.
4.3. ხელშეკრულება ვადამდე შეიძლება შეწყდეს;
4.3.1. მეიჯარის წერილობითი მოთხოვნიდან 2 კვირის განმავლობაში;
4.3.1. ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში.
4.3.2. მოიჯარის მიერ მეიჯარისათვის ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შესახებ წერილობითი შეტყობინების გაგზავნიდან 2 კვირის გასვლის შემდეგ.

5. საიჯარო ქირა და ანგარიშსწორების წესი

5.1. საიჯარო ქირის ოდენობა განისაზღვრება 200 (ორასი) აშშ დოლარის ქვივალენტით ლარში ყოველთვიურად.
5.2. მოიჯარე საიჯარო ქირაში არ არის შესული კომუნალური ხარჯი და ელექტროენერგიის ყოველთვიური საფასური
5.3. ყოველი თვის საიჯარო ქირა გადაიხდება მომდევნო თვის დასაწყისში არაუგვიანეს 5 რიცხვისა.
5.4. ანგარიშსწორება ხორციელდება ნაღდი ან უნაღდო წესით.
5.5. საიჯარო ქირის ოდენობა ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ფიქსირებულია და არ ექვემდებარება გადასინჯვას, გარდა ამ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული შემთხვევებისა.
5.6. საიჯარო ქირის გადასინჯვა დაიშვება მხოლოდ მხარეების წერილობითი თანხმობით.

6. მეიჯარის უფლებები და ვალდებულებები

6.1. მეიჯარე ვალდებულია უზრუნველყოს;

6.1.1. საიჯარო ფართის შეუფერხებელი და სრული გამოყენება მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში ხელშეკრულებაში განსაზღვრული პირობებით.

7. მოიჯარის უფლებები და ვალდებულებები

7.1. მოიჯარე ვალდებულებას კისრულობს:
7.1.1. საიჯარო ფართი გამოიყენოს მხოლოდ ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნებისთვის.
7.1.2. დროულად გადაიხადოს საიჯარო ქირა.
7.1.3. ჯეროვან წესრიგში იქონიოს ფართი, დაიცვას სახანძრო და ტექნიკური უსაფრთხოების წესები.
7.1.4. საკუთარი ხარჯით შეასრულოს საიჯარო ფართის სარემონტო სამუშაოები.
7.2. მოიჯარეს უფლება აქვს:
7.2.1. შეუფერხებლად ისარგებლოს შენობაში არსებული კომუნიკაციებით.
7.2.2. მოაწყოს და გააფორმოს საიჯარო ფართი.
7.2.3. განათავსოს სარეკლამო აბრა შენობის ფასადზე.

8. საიჯარო ფართის და ქონების დაბრუნება

8.1. საიჯარო ვადის გასვლისთანავე მოიჯარე ვალდებულია დაუბრუნოს მეიჯარეს საიჯარო ფართი.
8.1.1. ფართის დაბრუნება უნდა მოხდეს მიღება-ჩაბარების აქტით იჯარის ვადის გასვლიდან 10 დღის ვადაში.
8.1.2. წინა მუხლში მითითებულ ვადაში მოიჯარე ვალდებულია გამოვიდეს საიჯარო ფართიდან. მოამზადოს ფართი და იჯარით აღებული ქონება დასაბრუნებლად და დაუბრუნოს იგი მეიჯარეს.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა

9.1. მხარეები წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ან არაჯეროვანი შესრულებისთვის პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2.1. საიჯარო ქირის გადახდის დაგვიანებისთვის მეიჯარე უფლებამოსილია მოითხოვოს მოიჯარისგან პირგასამტეხლო - გადაუხდელი თანხის 0.2% ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.
9.2.2. იჯარით აღებული ფართის არამიზნობრივად გამოყენებისთვის მეიჯარე უფლებამოსილია მოითხოვოს მოიჯარისგან პირგასამტეხლო - ფაქტიურად გადახდილი ქირის 10% ოდენობით
9.3. მოიჯარე პირგასამტეხლოს იხდის მეიჯარის მხრიდან კონკრეტული პრეტენზიის მიღების შემთხვევაში 10 დღის განმავლობაში.
9.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესრულების ვალდებულებისგან.

10. ფორს-მაჟორი

10.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ვალდებულების სრული და ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში, რომლის დროსაც შეუძლებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.
10.2. „დაუძლეველი ძალის" ქვეშ იგულისხმება გარემოებები, რომლებიც არ არსებობდნენ ხელშეკრულების გაფორმების დროს და რომელთა დადგომა თუ ზემოქმედება მხარეებს არ შეეძლოთ თავიდან აეცილებინათ და გადაელახათ. კერძოდ, წყალდიდობა, მიწისძვრა, აფეთქებები, საომარი მოქმედებები, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების გადაწყვეტილებები და სხვ. თუ აღნიშნულმა გარემოებებმა უშუალოდ იმოქმედეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების

205264774
GEORGIA. "KERA TRAVEL" LTD

ვადებზე, მაშინ ეს ვადები ამ გარემოებების მოქმედების დროის თანაზომიერად გაიზრდება.
10.3. მხარემ, რომლისთვისაც ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის გამო შეუძლებელი გახდა ვალდებულებების შესრულება, ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ ყველა შემთხვევაში არაუგვიანეს 7 (შვიდი) კალენდარული დღისა ამ გარემოების დადგომიდან/დასრულებიდან, შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით. შეუტყობინებლობის ან დაგვიანებით შეტყობინების შემთხვევაში იგი კარგავს უფლებას დაეყრდნოს ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძველს.

11. სხვა დებულებები

11.1. წინამდებრე ხელშეკრულება გაფორმებულია ქართულ ენაზე ორი თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად, თითო ეგზემპლარი თითოეული მხარისათვის.
11.2. ყოველი ცვლილება და დამატება წინამდებარე ხელშეკრულებაში ნამდვილია, მისი წერილობითი გაფორმებისა და მხარეთა ხელმოწერის შემთხვევაში. ხელშეკრულების ყველა დანართი წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.
11.3. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. თუ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულება დაკარგავს ძალას, ხელშეკრულების სხვა დებულებები ძალაში რჩება და მხარეებისთვის სავალდებულოა შესასრულებლად.
11.4. მხარეებს შორის წარმოშობილი ყველა სადაო საკითხი წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში, დავა განსახილველად გადაეცემა საქართველოს სასამართლოს.

მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები

1. შპს „კერა თრეველი", მისამართი: საქართველო. თბილისი 0160, ყაზბეგის გამზ.14ბ. საბანკო რეკვიზიტები: სს ბაზისბანკი, ბანკის კოდი CBASGE22, ანგარიშის № GE66BS0000000022436821. საიდენტიფიკაციო კოდი 205264774 ;

2. შპს „ვეძა", მისამართი: საქართველო. თბილისი, ონიაშვილის ქ № 59. საბანკო რეკვიზიტები: სს თიბისი ბანკი, ბანკის კოდი CAVOGE22, ანგარიშის № ა/ა GE02TP0036080007000355 3 საიდენტიფიკაციო კოდი 405085704;

მეიჯარე	მოიჯარე
------------------------------	------------------------------
დავით ქუთათელაძე	როდიონ ტუჯაბიძე

GEORGIA. "KERA TRAVEL" LTD 205264774